

განმარტებითი ბარათი
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

დღეს მოქმედმა პარლამენტის რეგლამენტმა პრაქტიკაში ბევრი ხარვეზი გამოავლინა, როგორც საკანონმდებლო, ისე საზედამხედველო პროცესის კუთხით. არსებული ნორმები გათვლილია მეტწილად დაჩქარებულ საკანონმდებლო საქმიანობაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს სათანადოდ ხარისხიან კანონშემოქმედებას. პარლამენტის საზედამხედველო და სხვა ფუნქციები არაერთგვაროვნად და არასისტემურადაა მოწესრიგებული, რაც ხშირ შემთხვევაში მათ სრულ უფუნქციობას იწვევს.

საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ძალაში შედის საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე საპარლამენტო მმართველობის პრინციპებს და შესაბამისად, მოითხოვს პარლამენტის, როგორც ქვეყნის მთავარი მამოძრავებელი ინსტიტუტის როლის ზრდას და მისი საქმიანობის ახლებურ მოწესრიგებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია:

1. პარლამენტის ფორმირება საპარლამენტო მმართველობის ქვეყნისთვის დამახასიათებელ ძლიერ ინსტიტუტად;
2. პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი და ეფექტური კანონმდებლობის შექმნის შესაძლებლობას;
3. პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციების გაუმჯობესება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობა და არსებული ხარვეზების დროული და ეფექტური გამოვლენის შესაძლებლობა;
4. პარლამენტის სტრუქტურის დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს საპარლამენტო საქმიანობის გაჯანსაღებას;
5. საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხების სრულყოფა;
6. პარლამენტთან დაკავშირებული რეგულაციების სისტემური ერთიანობის უზრუნველყოფა, რეგლამენტიდან გამომდინარე პარლამენტთან დაკავშირებული რეგულაციების საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანა და საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი მოიცავს თანამედროვე საპარლამენტო მმართველობის ქვეყნის პარლამენტისთვის დამახასიათებელ ყველა აუცილებელ ნიშან-თვისებას. პროექტით განმტკიცებულია საკანონმდებლო, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი ფუნქციები. პარლამენტის საქმიანობა ეფუძნება ღიაობისა და გამჭვირვალობის, საზოგადოების ჩართულობის, ანგარიშვალდებულების, შრომის განაწილების, პროპორციულობისა და სამართლიანობის საწყისებს.

დასაწყისშივე, ორიოდ სიტყვით უნდა აღინიშნოს რეგლამენტის, როგორც საკანონმდებლო აქტის სამართლებრივი ბუნების შესახებ. პარლამენტის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის და სიძლიერის ერთ-ერთი გარანტია თავად პარლამენტის რეგლამენტია, რომელსაც ჰყავს სპეციალური ინიციატორები (პარლამენტის წევრი, კომიტეტი, ფრაქცია), რომლის შექმნის პროცესი იწყება და სრულდება პარლამენტში, კერძოდ, მიღების შემდეგ მას ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე (ნაცვლად პრეზიდენტისა). კონსტიტუციის ახალი რედაქციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაიზარდა პარლამენტის რეგლამენტის მისაღებად საჭირო ქვორუმი და ნაცვლად არანაკლებ 50 დეპუტატისა, მის მიღებას სჭირდება არანაკლებ 76 დეპუტატის მხარდაჭერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის პროცედურულ ნორმებს, თავად პარლამენტის შიგნით მაღალი ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეს.

პარლამენტის მოქმედი (22/06/2012) რეგლამენტისგან განსხვავებით, რომელიც XIV კარისა და LVIII თავისგან შედგება, წარმოდგენილი პროექტის სტრუქტურა გამარტივებულია და მოიცავს მხოლოდ XX თავს, კარებად დაყოფის გარეშე. თავები ლოგიკური თანმიმდევრობითაა დაჯგუფებული - იწყება ზოგადი დებულებებით, რასაც თან მოსდევს პარლამენტის წევრისა და პარლამენტის ორგანიზაციულ/სტრუქტურული საკითხები, პარლამენტის საკანონმდებლო, საზედამხედველო თუ სხვა განსაკუთრებულ საქმიანობისთან დაკავშირებული საკითხები, პარლამენტის აპარატისა და პარლამენტთან არსებული დაწესებულებების მარეგულირებელი ნორმები, რეგლამენტის დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხები, გარდამავალი და დასკვნითი დებულებები. რეგლამენტის სტრუქტურის შექმნისას გათვალისწინებული იქნა კონსტიტუციის ახალ რედაქციაში პარლამენტის მარეგულირებელი ნორმების და შესაბამისად, სუბიექტების თუ თანამდებობის პირების თანმიმდევრობა.

წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტში თითოეული მუხლი დასათაურებულია, რაც ამარტივებს დოკუმენტის აღქმადობას და ნორმათა ინტერპრეტაციას.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც ამოქმედდება მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნების საფუძველზე არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე, პარლამენტთან მიმართებით მთელ რიგ სიახლეებს ადგენს, რაც ზედმიწევნითაა ასახული წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტში.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, აღმოფხვრილია როგორც რეგლამენტის შიგნით, ისე სხვა საკანონმდებლო აქტებთან მიმართებით არსებული დუბლირებები და კოლიზიები. წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი შექმნილია პრინციპით, რომ პარლამენტის უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესთან დაკავშირებული ძირეული საკითხები უნდა იყოს მოწესრიგებული პარლამენტის რეგლამენტით და არა სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი I. ზოგადი დებულებები

მოცემულ თავში განმტკიცებულია პარლამენტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. არსებულ პრინციპებს ემატება გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. აღნიშნული პრინციპები პრაქტიკულ ასახვას ჰპოვებს მთლიან დოკუმენტში, კერძოდ, გაზრდილია პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციების ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება, გამარტივებულია მოქალაქეთა კომუნიკაცია პარლამენტთან ელექტრონული რესურსების გამოყენების გზით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარლამენტის სასახლის ხელმისაწვდომობის მიზნით პარლამენტი უზრუნველყოფს სასახლის შესაბამისი საჭიროებებით აღჭურვას.

პარლამენტის სასახლის ადგილსამყოფელად მითითებულია ქალაქი ქუთაისი, რომლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის ჩატარების მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობების დროს.

ამავე თავში განსაზღვრულია რეგლამენტის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ისეთი ტერმინების განმარტება, როგორცაა, ანგარიშვალდებული ორგანო, ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, თავდაცვისა დაუსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები, ოპოზიცია, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტის განხილვის გრაფიკი, წამყვანი კომიტეტი.

ანგარიშვალდებული ორგანოსა და ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის განმარტების საჭიროება პირდაპირ უკავშირდება პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას, ამავე დროს, აღნიშნულ ტერმინს ამკვიდრებს კონსტიტუციის ახალი რედაქციაც. პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას უკავშირდება უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების სწორი იდენტიფიცირების საჭიროებაც.

ნოვაციას წარმოადგენს საკანონმდებლო დონეზე ოპოზიციის ტერმინის განმარტებაც. აღნიშნული განმარტება საშუალებას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ კონსტიტუციითა და რეგლამენტით ოპოზიციისთვის გათვალისწინებული პრივილეგიებით სარგებლობის უფლების მქონე პირთა წრე. ოპოზიციად ჩაითვლება პარლამენტის წევრთა ჯგუფი, რომელიც არ არის საქართველოს მთავრობის ფორმირების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების მომხრე, მანამდე, სანამ აღნიშნულ პოზიციას არ უარყოფს საჯაროდ ან წერილობით.

თავი II. პარლამენტის წევრი

აღნიშნული თავი მოიცავს პარლამენტის წევრის სტატუსთან, მის უფლება-მოვალეობებთან და საქმიანობის გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, შემოთავაზებული ვერსიით უქმდება „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ და „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონები და იქ მოცემული საკითხები ერთიანდება რეგლამენტის მოცემულ თავში. ვინაიდან პარლამენტის წევრი, პარლამენტის პირველადი და უმნიშვნელოვანესი სუბიექტია, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება პარლამენტის ხარისხიან მუშაობას, შესაბამისად, ცალკე კანონით ინდემნიტეტის საკითხის მოწესრიგება, სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორია.

ამ თავით რეგულირდება პარლამენტის წევრის გასამრჯელოს საკითხიც, რომელიც შეადგენს 4624 ლარს. პარლამენტის წევრს აგრეთვე მიეცემა პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრული სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხა. ხოლო პარლამენტის თანამდებობის პირებს დამატებით მიეცემა პარლამენტის თანამდებობის პირის პოზიციისათვის განსაზღვრული ფულადი გასაცემელი.

რეგლამენტი ადგენს პარლამენტის თანამდებობის პირთა გასამრჯელოს დაანგარიშების პრინციპსაც - პარლამენტის თანამდებობის პირთა გასამრჯელო კონკრეტული თანამდებობისათვის გამოიანგარიშება პარლამენტის წევრის გასამრჯელოს გამრავლებით პარლამენტის თანამდებობათა კატეგორიების კოეფიციენტზე. პარლამენტის თანამდებობათა კატეგორიების კოეფიციენტებს პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო. პარლამენტის თანამდებობათა კოეფიციენტების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ პარლამენტის თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №3 დანართის №3 ცხრილით პირველი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის დადგენილ მაქსიმალურ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებას, ამასთან დაცული უნდა იქნეს თანამდებობებს შორის იერარქიულობის პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ რეგლამენტში გადმოტანილია პარლამენტის წევრის დღეს არსებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობა. ამ თემაზე მოკლე შესავლის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამსახურის სფეროში რეფორმის განხორციელებამდე ცალკე კანონი - „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ ადგენდა პარლამენტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობას. ამას ემატებოდა დანამატები და ასე შემდეგ - მაშინდელი შრომის ანაზღაურების სისტემის შესაბამისად. 2017 წელს, აღნიშნული კანონი გააუქმა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელმაც დაადგინა პარლამენტის წევრის არა კონკრეტული ოდენობის გასამრჯელო, არამედ სარგოს დაანგარიშების პრინციპი და კოეფიციენტები. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის წევრი იღებს საკანონმდებლო აქტით დადგენილ

გასამრჯელოს. ეს ჩანაწერი ნიშნავს იმას, რომ პარლამენტის წევრის ინდემნიტეტის ნაწილია საკანონმდებლო აქტმა პირდაპირ განსაზღვროს მისი გასამრჯელოს ოდენობა. ასეთი საკანონმდებლო აქტი კი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტის რეგლამენტი.

რაც შეეხება პარლამენტის თანამდებობის პირებს (პარლამენტის წევრებს) - პარლამენტის რეგლამენტი იცავს ქვეყანაში მოქმედ შრომის ანაზღაურების ზოგად სისტემას, ლიმიტებს და ადგენს შესაბამის ზღვრებს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ პარლამენტის წევრების და თანამდებობის პირების ხელფასი არ შეცვლილა და ვერც შეიცვლება ისე, რომ დღეს მოქმედ ზღვრებს აცდეს, რეალურად მხოლოდ კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, გასამრჯელოს ის კონკრეტული ოდენობა იწერება რეგლამენტში, რომელსაც დღესაც იღებს პარლამენტის წევრი.

ამ თავში განხორციელებულ სხვა ცვლილებებს რაც შეეხება - პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებასთან მიმართებაში მოიხსნა კომიტეტების მიმართ შეზღუდვა და ახლა უკვე ყველა კომიტეტის შუამდგომლობით შეიძლება პარლამენტის წევრისთვის ამ უფლების მინიჭება. გარდა ამისა, „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გადმოტანილი იქნა მოქმედი ნორმები, ასევე, გასწორებული იქნა რიგი უმოქმედო ნორმების რედაქციები.

თავი III. პარლამენტის თავმჯდომარე და მოადგილეები

მოცემული თავი განსაზღვრავს პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების თანამდებობაზე არჩევისა და გათავისუფლების წესებს, მათ უფლებამოსილებებს.

კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარეობა, რომელიც ძირითადად უკავშირდება კოლეგიური სხდომების გაძღოლას და სხვა პროცედურული საკითხების გადაწყვეტას, მოითხოვს გარკვეულ მოქმედების თავისუფლებას. იმისთვის, რომ ეს უფლებამოსილებები განხორციელდეს ჯეროვნად, წარმოდგენილი რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარე კონსტიტუციით და რეგლამენტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამართლიანად და მიუკერძოებლად.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე აირჩევა პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით. პარლამენტის თავმჯდომარის დანარჩენი მოადგილეებიდან არა უმეტეს 3 აირჩევა უმრავლესობის წარდგინებით და არა უმეტეს 3 აირჩევა იმ ფრაქციების წარდგინებით, რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობაში.

იცვლება პარლამენტის თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების საკითხი - როგორც წესი პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას, თავმჯდომარე ბრძანებით ავალებს თავის ერთ-ერთ მოადგილეს. სხვა შემთხვევებში, როცა მსგავსი დავალების გაცემა ობიექტური მიზეზით ვერ განხორციელდება, მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - პარლამენტის თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

მოცემულ თავშია რეგულირებული ხაზინადართა საბჭოს საკითხიც, ვინაიდან ის წარმოადგენს პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს და დაკავშირებულია პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებასთან. ხაზინადართა საბჭოს და აგრეთვე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მეშვეობით პარლამენტის თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს პარლამენტის საფინანსო საქმიანობას. საბჭოს წევრთა რაოდენობა და კვოტები განისაზღვრება ფრაქციათა და უფრაქციო პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად. მნიშვნელოვანია, რომ მთელ რეგლამენტში გასწორდა ხაზინადართა საბჭოს ფუნქციასთან დაკავშირებული დებულებები - განისაზღვრა რომ საბჭო, როგორც თავმჯდომარის სათათბირო ორგანო თავმჯდომარეს წარუდგენს თავის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებებს, ხოლო შემდეგ, თავმჯდომარე, რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავის გადაწყვეტილებებს წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

თავი IV. პარლამენტის ბიურო

მოცემული თავი განსაზღვრავს პარლამენტის ბიუროს უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს. ბიუროს შექმნის მიზანი პარლამენტის მუშაობის ორგანიზებაა. ბიუროს შემადგენლობა განისაზღვრება კონსტიტუციით.

პარლამენტს შეუძლია გააუქმოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ან ცვლილება შეიტანოს მასში პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედისა.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დებულებები, რომლებიც კონსტიტუციაში ასახული სახით დამატებით იმპლემენტაციას კანონმდებლობაში არარ საჭიროებს, არ არის გადმოტანილი პარლამენტის რეგლამენტში - რიგ შემთხვევაში კი რეგლამენტიდანაც ამოღებულია მსგავსი ჩანაწერები.

თავი V. პარლამენტის კომიტეტები

რეგლამენტით დგინდება, რომ კომიტეტი პარლამენტის მუდმივმოქმედი სუბიექტია, რომლის მეშვეობითაც პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობას და კონტროლს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის ზედამხედველობას.

კომიტეტის სხდომების გამართვის პერიოდულობას განსაზღვრავს კომიტეტი, მაგრამ სასესიო პერიოდში თვეში უნდა გაიმართოს არანაკლებ 2 სხდომისა. კომიტეტის სხდომების გეგმაზომიერად და ნაყოფიერად მოშაობის მიზნით, პლენარული სხდომების დღეებში კომიტეტის სხდომები არ იმართება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღებულია დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება.

საკომიტეტო მუშაობის გამჭვირვალობისა და არსებული საკითხების ეფექტიანად განხილვის მიზნით, კომიტეტის სხდომის გამართვის თარიღი და დღის წესრიგი კომიტეტის წევრებს ეცნობება და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე სხდომამდე არაუგვიანეს 3 დღისა. კომიტეტის სხდომაზე განსახილველი მასალები სხდომამდე სულ მცირე 2 დღით ადრე, ხოლო კანონპროექტის შემთხვევაში – მისი მომზადებისთანავე, განთავსდება პარლამენტის ვებგვერდზე. დღის წესრიგში ახალი საკითხის შეტანა კომიტეტის სხდომაზე დაუშვებელია, ხოლო საკითხის ამოღება შესაძლებელია კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის დასაბუთებული გადაწყვეტილებით. კომიტეტის სხდომამდე დღის წესრიგიდან საკითხის ამოღება ან ახალი საკითხი შეტანა შესაძლებელია კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით.

პარლამენტის კანონშემოქმედებით, საზედამხედველო და სხვა საქმიანობის უკეთ წარმართვის, ასევე, საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის და პარლამენტის წევრთა შორის შრომის განაწილების მიზნით, კომიტეტის ფარგლებში იქმნება თემატური მომხსენებლის ინსტიტუტი. პარლამენტის კომიტეტი ფორმირებიდან ერთი თვის ვადაში განსაზღვრავს კომიტეტის სამუშაო სფეროებს. სამუშაო სფეროებში კომიტეტის წევრთა განაწილება ხდება იმგვარად, რომ ყოველ სფეროზე პასუხისმგებელი იყოს ერთი თემატური მომხსენებელი უმრავლესობის წევრთაგან და ერთი თემატური მომხსენებელი იმ ფრაქციებიდან და დამოუკიდებელი პარლამენტის წევრებიდან, რომლებიც არ შედიან უმრავლესობაში. თემატური მომხსენებელი ვალდებულია კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხები (მათ შორის კანონპროექტები) მისთვის მიკუთვნებული სამუშაო სფეროს მიხედვით გააანალიზოს და მოამზადოს მოხსენება, რომელსაც საკითხის/კანონპროექტის განხილვისას წარუდგენს კომიტეტს.

სრულყოფილი პოლიტიკური ციკლის უზრუნველყოფის მიზნით, კომიტეტი აკონტროლებს მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. ამ მიზნით შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების ეფექტიანობას, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს, განიხილავს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს, ასევე ნორმატიული აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშემშლელ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს და იღებს ზომებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად. კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილებებს და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად იღებს შესაბამის ზომებს.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს მთავრობის, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის

ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაშიც იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

კომიტეტები, საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ადგენენ შესაბამისი კომიტეტის მუშაობის წლიურ სამოქმედო გეგმას. იმისთვის, რომ კომიტეტის მნიშვნელოვანი ფუნქციები არ დარჩეს ყურადღების მიღმა, სავალდებულო ხდება, რომ სამოქმედო გეგმა შეიცავდეს ინფორმაციას კომიტეტის კანონშემოქმედებით, საზედამხედველო და სხვა ფუნქციების შესახებ, მათ შორის, ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის შესახებ კომიტეტის დაგეგმილ საქმიანობას, კანონქვემდებარე აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგის შესახებ კომიტეტის მიერ დაგეგმილ საქმიანობას, მოქალაქეთა წერილებისა და განცხადებების გადამუშავების და რეაგირების შესახებ კომიტეტის მიდგომებს. კომიტეტის სამუშაო გეგმის შემუშავებისას თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრება შესაბამისი თემატური მომხსენებელი.

კომიტეტების თავმჯდომარეები საშემოდგომო სესიის დასრულებამდე არაუგვიანეს სამი კვირისა პარლამენტს წარუდგენენ კომიტეტების მიერ გაწეული საქმიანობის წერილობით ანგარიშებს და შესაბამის მოხსენებას, ყოველი წლის შედეგების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მიხედვით, კომიტეტების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშზე თანამომხსენებელია უმცირესობის წარმომადგენელი კომიტეტის წევრი და უმცირესობისა და უმრავლესობის გარეთ დარჩენილი ფრაქციების და დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა მიერ ერთობლივად განსაზღვრული კომიტეტის წევრი. ანგარიში განიხილება საშემოდგომო სესიის პლენარულ სხდომაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ კომიტეტები დარგობრივად ზედამხედველობენ სხვადასხვა აღმასრულებელ უწყებებს, რეგლამენტის მოცემულ თავში დადგენილია კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო დასწრების წესი. მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, რეგლამენტით დადგენილი წესით დაესწროს დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. აღნიშნული პირი კომიტეტის სხდომას სავალდებულო წესით უნდა დაესწროს კომიტეტის წევრების უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ფრაქციას კომიტეტზე სავალდებულო წესით მოწვევის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას ჰყავს კომიტეტში წევრი. შესაბამისად, კომიტეტის ერთი წევრი ფრაქციის წარმომადგენლის მოთხოვნაც საკმარისია, რომ ხსენებული პირი კომიტეტის სხდომაზე გამოცხადდეს და წარადგინოს მოხსენება რეგლამენტით დადგენილი წესით. კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ პირს უფლება აქვს არ ისაუბროს იმ საკითხების გარშემო, რომლებიც დადგენილი წესით მისთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი. გამოსვლის შემდეგ იმართება კითხვა-პასუხი. შეკითხვების დრო სამართლიანად უნდა

განაწილდეს უმცირესობას, უმრავლესობას და უმცირესობისა და უმრავლესობის გარეთ დარჩენილ ფრაქციებს/პარლამენტის წევრებს შორის.

თავი VI. ფრაქცია

აღნიშნული თავი არეგულირებს ფრაქციის სტატუსს, მისი შექმნისა და გაუქმების წესს, უფლებამოსილებებსა და საქმიანობის გარანტიებს. აქვეა მოცემული საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის მარეგულირებელი ნორმები. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით ფრაქციასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ პარლამენტის რეგლამენტით შეიძლება განისაზღვროს. შესაბამისად, უქმდება „საპარლამენტო ფრაქციის შესახებ“ საქართველოს კანონი და იქ არსებული საკითხები ინტეგრირებულია მოცემულ თავში.

ფრაქცია არის პარლამენტის საქმიანობის პოლიტიკური სუბიექტი, რომელშიც პარლამენტის წევრები ერთიანდებიან საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ფრაქციის პირადი, პროფესიული, ადგილობრივი, რეგიონული ან რელიგიური ნიშნით შექმნა აკრძალულია.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით ფრაქციასთან დაკავშირებული ცვლილებები ასახულია წარმოდგენილ პროექტში. ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს უფლება არ აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია, ამასთან, პარლამენტის წევრს უფლება აქვს გაერთიანდეს მხოლოდ იმ ფრაქციაში, რომელიც შექმნილია მისი წარმდგენი პოლიტიკური პარტიის წევრთა გაერთიანებით. თუმცა, თავისთავად ეს ცვლილება ამოქმედდება კონსტიტუციის შესაბამისი ცვლილების ამოქმედებასთან ერთად, მანამდე მოქმედი დებულებები კი მოცემულია ახალი რეგლამენტის გარდამავალ დებულებებში.

თავი VII. დროებითი საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიები

მოცემულ თავში განსაზღვრულია საგამომიები და სხვა დროებითი კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესები. კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ ჩამოწია დროებითი საგამომიებო კომისიების შექმნის ქვორუმი, ხოლო ახალმა რეგლამენტმა ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაამარტივა დროებითი საგამომიებო კომისიების შექმნის შესაძლებლობა, რაც ასახულია წარმოდგენილ პროექტში.

დროებითი საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიის შექმნის შესახებ საკითხის ინიცირების უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მუხუთედს. დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის ინიციატივის დაყენების უფლება დამატებით აქვს ნდობის ჯგუფსაც. დადგენილების პროექტი უნდა შეიცავდეს კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ სათანადო დასაბუთებას.

დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით. მოცემული კენჭისყრისთვის საპარლამენტო ოპოზიციის ინტერესების სასარგებლოდ გათვალისწინებულია განსხვავებული მიდგომა, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისას

მოწინააღმდეგეთა ხმები მხედველობაში არ მიიღება, რაც ნიშნავს იმას, რომ მთავარია შექმნის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭიროს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთმა მესამედმა და არ აქვს მნიშვნელობა რამდენი პარლამენტის წევრი მისცემს ხმას წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ დღეს მოქმედი რეგლამენტისგან განსხვავებით სრულიად მოხსნილია ის ბარიერები, რომლებიც საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცედურულ დაბრკოლებებს ქმნიდა. ნაცვლად ორი კენჭისყრისა, დატოვებულია მხოლოდ ერთი კენჭისყრა, ასევე, გაუქმებულია კომისიის წევრების პარლამენტის გადაწყვეტილით დანიშვნის და აცილების საკითხი. შემოთავაზებული პროცედურით პარლამენტი 50 დეპუტატის მხარდაჭერით შექმნის კომისიას. შემდეგ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის გადაწყვეტილებით დადგინდება კომისიის წევრთა რაოდენობა და კვოტები. კომისიის წევრებს კი თავად ფრაქციები და დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები დანიშნავენ თავიანთი გადაწყვეტილებით, ისევე, როგორც ეს კომიტეტების შემადგენლობის ფორმირების დროს ხდება. კომისიის თავმჯდომარესაც, ნაცვლად პარლამენტისა (როგორც დღეს მოქმედ რეგლამენტშია გათვალისწინებული), თავად კომისია აირჩევს.

რაც შეეხება სხვა დროებითი კომისიის შექმნას, პარლამენტი მისი შექმნის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედისა.

დროებითი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციებში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, ამასთან, კომისიაში ფრაქციები წარმოდგენილი უნდა იყვნენ თითო წევრით მაინც და კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები, რაც მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს საპარლამენტო ოპოზიციისთვის და გამომდინარეობს კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

წარმოდგენილი პროექტით ფართოვდება სხვა დროებითი კომისიების შექმნის შესაძლებლობები. განისაზღვრება, რომ სხვა დროებითი კომისია არის პარლამენტის დროებითი სუბიექტი, რომელიც იქმნება პარლამენტის წინაშე მდგარი სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის იმ არამუდმივი ამოცანის შესრულების მიზნით, რომლის განხორციელებაც საჭიროებს საკითხის კოლეგიურ შესწავლას და გადაწყვეტას. შესაბამისად, ყველა ამგვარი ამოცანისთვის შესაძლებელი იქნება სხვა დროებითი კომისიის შექმნა, ნაცვლად რეგლამენტის დღეს მოქმედი დებულებისგან, რომელიც კომისიის შექმნას მხოლოდ სამი თემის გარშემო მიიჩნევს შესაძლებლად.

სხვა დროებით კომისიებზე ვრცელდება ყველა ის ზოგადი ნორმები, რაც გათვალისწინებულია დროებითი საგამოძიებო კომისიისთვის, გარდა იმ ნორმებისა, რომლებიც თავისი სპეციფიკით საგამოძიებო პროცედურებს უკავშირდება.

დროებითი საგამომიებო და სხვა დროებითი კომისია შეიძლება შეიქმნას არა უმეტეს 3 თვის ვადით. ეს ვადა რეგლამენტით დადგენილი წესით პარლამენტის მიერ შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით. კომისიის უფლებამოსილების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. გამონაკლისია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისია, რომლის საქმიანობის ვადა განისაზღვრება პარლამენტის შესაბამისი დადგენილებით.

თავი VIII. პარლამენტის სათათბირო ორგანოები

პარლამენტში იქმნება პარლამენტის მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ განსაზღვრულ სფეროებში პარლამენტის წინაშე მდგარი განგრძობადი, სისტემური და მდგრადი პოლიტიკის შემუშავებასა და კოორდინაციას.

წარმოდგენილი პროექტით შენარჩუნებული და განმტკიცებულია ორი ასეთი საბჭო – გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო და ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

აღსანიშნავია, რომ მოქმედ რეგლამენტში სრულიად გაუგებარი იყო მითითებული ორი საბჭოს სტრუქტურული როლი საპარლამენტო საქმიანობაში. წარმოდგენილი რედაქციით კი მათი ფუნქცია მკაფიოდ ყალიბდება და ხდება საბჭოების აღჭურვა ყველა საჭირო რესურსით, მათ შორის, პარლამენტის თავში საგანგებოდ აღინიშნება საბჭოების სამდივნოების აპარატის შემადგენლობაში არსებობის საჭიროების შესახებ. რეგლამენტის ამ თავში განისაზღვრება თითოეული საბჭოს დებულებისთვის ჩარჩო-მოთხოვნებიც. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საბჭოებს პირველად ენიჭებათ კონკრეტული საზედამხედველო მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა - მათ აქვთ უფლება შექმნან თემატური მოკვლევის ჯგუფი და ჩაატარონ თემატური მოკვლევა რეგლამენტის შესაბამისად.

ამავე თავში მოცემულია რეგულაცია სახელმწიფო კომისიებზე, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ პარლამენტია უფლებამოსილი, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების მიზნით, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებისგან და სხვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებისგან შექმნას სათათბირო ორგანო – სახელმწიფო კომისია. სახელმწიფო კომისია იქმნება პარლამენტის დადგენილებით. ამავე დადგენილებით მტკიცდება კომისიის დებულება, რომლითაც განისაზღვრება კომისიის უფლებამოსილება, საქმიანობის ვადა და წესი.

თავი IX. პარლამენტის სესია და სხდომა

მოცემული თავი აერთიანებს პარლამენტის სესიისთვის და სხდომებისთვის გათვალისწინებულ რეგულაციებს, რომლებიც საერთოა და გამოიყენება პარლამენტის სხვადასხვა საქმიანობის ფარგლებში.

რეგლამენტში ზუსტდება, რომ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი მისი მაღალი ღირებულებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე შესრულებულ იქნება მორიგი სესიის გახსნისას და დახურვისას, სესიის პირველ და ბოლო პლენარულ სხდომაზე.

საკანონმდებლო საქმიანობა გათვლილია მუშაობის ორკვირიან ციკლზე, საიდანაც პირველი კვირა ეთმობა პლენარულ სხდომებს, ხოლო მეორე კვირა – ამომრჩევლებთან შეხვედრებს და კომიტეტების მუშაობას.

გაზრდილია პლენარული სხდომების დღეების ოდენობა, კერძოდ, პლენარული სხდომები ჩატარდება შესაბამისი კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს, ხოლო ამავე კვირის ორშაბათს, პლენარული სხდომა შეიძლება ჩატარდეს ბიუროს გადაწყვეტილებით.

პარლამენტის სასესიო მუშაობის განუყოფელი ნაწილი ხდება მინისტრის საათი, რაც გულისხმობს, წელიწადში არანაკლებ ერთხელ, მთავრობის ცალკეული წევრის, გარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი კომპონენტის შესახებ მოხსენებით გამოსვლას. მოხსენება, ასევე, უნდა შეეხოს იმ საკითხებს, რომლებიც დადგენილი წესით მინისტრის წინაშე იქნება დასმული, კერძოდ, მთავრობის შესაბამის წევრს პარლამენტში წარდგენამდე არაუგვიანეს 10 დღისა ეგზავნება კომიტეტების მიერ შედგენილი საკითხები, რომლის გარშემოც უნდა წარიმართოს მინისტრის საათი. მინისტრი უფლებამოსილია არ ისაუბროს ამ ვადის დაგვიანებით მიწოდებულ საკითხებზე. მინისტრის სიტყვით გამოსვლას თან მოსდევს დამაზუსტებელი კითხვა-პასუხი, რის შემდეგაც იმართება პოლიტიკური დებატები. მთავრობის ცალკეული წევრების პარლამენტში წარდგენის განრიგს, მთავრობის წევრებთან შეთანხმებით და კომიტეტების ინიციატივების გათვალისწინებით, საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ადგენს პარლამენტის ბიურო. განრიგი უნდა შედგეს ისე, რომ სულ მცირე პლენარული სხდომების ყოველ ორ კვირაში ერთხელ, გარდა პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენების მოსმენის კვირისა, იყოს მინიმუმ ერთი მინისტრის საათი მაინც.

პარლამენტი ვალდებულია მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს მოთხოვნისთანავე მოუსმინოს. აღნიშნული პირი ვალდებულია პარლამენტისადმი მიმართვამდე არაუგვიანეს 3 დღისა პარლამენტის თავმჯდომარეს წერილობით წარუდგინოს ის საკითხები, რომლებზედაც მას სურს პარლამენტისადმი მიმართვა, რაც ეგზავნება ფრაქციებს, უმრავლესობას და უმცირესობას, ასევე დამოუკიდებელ პარლამენტის წევრებს. პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირის მიმართვის დასრულების შემდეგ, თანამდებობის პირის გამოსვლა განიხილება და კითხვა-პასუხი მიმდინარეობს რეგლამენტით დადგენილი კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის წესის შესაბამისად.

პლენარული სხდომის დღის წესრიგში საკითხების არასამართლიანად გადანაწილების თავიდან აცილების მიზნით, უმცირესობას, ფრაქციას, რომელიც არ არის გაერთიანებული

უმრავლესობაში ან უმცირესობაში, დამოუკიდებელ პარლამენტის წევრს, უფლება აქვს, ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს დღის პირველ ნახევარში, რეგლამენტით დადგენილი წესით მოითხოვოს მის მიერ ინიცირებული კანონის ან პარლამენტის დადგენილების პროექტის ან პარლამენტის სხვა აქტის განსახილველად განსაზღვრული დროის გამოყოფა. პარლამენტის ბიურო ვალდებულია საკითხი რეგლამენტით დადგენილი წესით შეიტანოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

წარმოდგენილი რეგლამენტით პლენარულ სხდომის დღეს დილის სხდომის გახსნის წინ, ასევე, კენჭისყრის წინ ტარდება პარლამენტის წევრთა რეგისტრაცია. პარლამენტის წევრს პლენარული სხდომა გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ იგი, პლენარული სხდომის დღის განმავლობაში გაივლის ხსენებული ორი რეგისტრაციიდან ერთ რეგისტრაციას მაინც.

პარლამენტის წევრთა მხრიდან სხდომების საპატიო გაცდენის უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამორიცხვის მიზნით, დაკონკრეტებულია საპატიო გაცდენის შემთხვევები. პარლამენტის წევრის მიერ პლენარული სხდომის გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა (დადასტურებული საავადმყოფო ფურცლით), სამსახურებრივი მივლინება, ოჯახის წევრის (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა) დაბადება, გარდაცვალება, ავადმყოფობა (დადასტურებული საავადმყოფო ფურცლით). პარლამენტის წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ უმრავლესობა, უმცირესობა, ფრაქცია, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი პოლიტიკური შეხედულებების გამო უარს აცხადებს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობაზე (ბოიკოტი). პარლამენტის წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით აგრეთვე, გაცდენილად არ ეთვლება საქართველოს პარლამენტში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნის დელეგაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის გამო, პარლამენტის წევრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, პარლამენტის თავმჯდომარის წინასწარი წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

მოცემულ თავში განსაზღვრულია პოლიტიკური დებატების გამართვის ერთიანი წესი, რომელიც რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვადასხვა შემთხვევების დროს სტანდარტულად გამოიყენება. დებატებისას სიტყვით გამოსვლის დრო პროპორციულად და სამართლიანადაა გადანაწილებული უმრავლესობასა და უმცირესობაზე, ფრაქციებსა და თითოეულ განსხვავებული აზრის გამოთქმის მსურველ პარლამენტის წევრებზე. რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედის მოთხოვნით თვეში ერთხელ ინიშნება პოლიტიკური დებატების დღე. მნიშვნელოვანია, რომ ეს გულისხმობს დებატების დანიშვნის პროცედურის მნიშვნელოვან გამარტივებას. აქამდე თუ პარლამენტის გადაწყვეტილება სჭირდებოდა პოლიტიკური დებატების დღის დანიშვნას, ახალი რეგლამენტით მხოლოდ 30 დეპუტატის მოთხოვნა საკმარისი იქნება.

პლენარული სხდომების კვირის სამშაბათს, გარდა რიგგარეშე სხდომებისა, დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, 20 პარლამენტის წევრიდან თითოეულს ეთმობა 3 წუთი განცხადებებისათვის. აღნიშნული დრო სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს 30 წამით. პარლამენტის წევრს საშუალება აქვს გამომსვლელთა სიაში ჩაეწეროს როგორც პირადად, ისე ელექტრონულად.

თავი X. საკანონმდებლო პროცესი

აღნიშნულ თავში თავმოყრილია კანონშემოქმედებითი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები – საკანონმდებლო ინიციატივის დაყენების, სამი მოსმენით განხილვის, გადაწყვეტილების მიღების წესები და საკანონმდებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

კონსტიტუციის ახალი რედაქცია აღარ ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო კვორუმის სიითი შემადგენლობიდან გამოთვლის წესს. შესაბამისად, რეგლამენტის ამ და სხვა თავებში გათვალისწინებული ყველა გადაწყვეტილებისთვის კვორუმი გამოითვლება პარლამენტის სრული შემადგენლობიდან.

ვინაიდან მთავრობა საკანონმდებლო პროცესში მთავარი ინიციატორია, საქმიანობის გეგმაზომიერად წარმართვის მიზნით, მთავრობა ვალდებულია თავისი კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა პარლამენტს წარმოუდგინოს წელიწადში ორჯერ, პარლამენტის თითო სასესიო პერიოდისათვის. მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც არ შედის მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, თან უნდა ახლდეს გეგმაში გათვალისწინების შეუძლებლობის შესახებ შესაბამისი დასაბუთება.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით საკანონმდებლო პროცესის ვადები გათვლილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს არა ნაჩქარევი, არამედ კარგად გათვლილი და ხარისხიანი კანონმდებლობის მიღება. ამ თავში მოცემული რეგულაციების გარდა ამავე მიზანს ემსახურება ის ფაქტი, რომ კომიტეტები მოკლებული იქნებიან შესაძლებლობას პლენარული სხდომების კვირაში გამართონ კომიტეტის სხდომები.

ხარისხიანი საკანონმდებლო საქმიანობის მიზნიდან გამომდინარეობს დაჩქარებული წესით კანონის მიღების შესაძლებლობის შეზღუდვაც. დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვის მოთხოვნის შემთხვევაში ინიციატორი ვალდებულია წარადგინოს წერილობითი დასაბუთებული მოთხოვნა. დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბიურო, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის პლენარული სხდომა. თუმცა თვით დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვის შემთხვევაშიც საკანონმდებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილია გარკვეული შეზღუდვები – პარლამენტი კანონპროექტს პლენარულ სხდომაზე არ განიხილავს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღეს და მომდევნო დღეს. ამასთანავე, ერთი და იმავე დღეს დასაშვებია კანონპროექტის მხოლოდ მე-2 და მე-3 მოსმენით განხილვა და

მიღება. ეს განპირობებულია იმით, რომ კანონპროექტის არსებითად განსახილველი მოსმენებია I და II, შესაბამისად, ეს ორივე მოსმენა არ შეიძლება ერთ დღეს დაემთხვეს.

კანონპროექტის პირველი მოსმენით საკომიტეტო განხილვამდე, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტმა შეიძლება წარადგინოს ალტერნატიული კანონპროექტი. ალტერნატიული კანონპროექტი წამყვანი კომიტეტის სხდომაზე განიხილება ძირითად კანონპროექტთან ერთად. კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე კომიტეტის, ფრაქციის, უმრავლესობის, უმცირესობისა და პარლამენტის წევრის მიერ შეიძლება წარდგენილ იქნეს ალტერნატიული წინადადება, შესაბამისი კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვის წინა დღის 18:00 საათამდე. დგინდება, რომ ალტერნატიული წინადადებები, იმისათვის, რომ მათ მოჰყვეთ რეგლამენტით გათვალისწინებული შედეგი, აუცილებლად წერილობითი სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

პარლამენტის მიერ კანონპროექტის სამი მოსმენით განხილვის წესი მაქსიმალურად სინქრონიზირებულია. განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის წესი, რადგანაც მოცემული წესი გამოიყენება რეგლამენტით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხის განხილვის დროსაც.

პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას, აუცილებლობის შემთხვევაში, მომხსენებლის ან თანამომხსენებლის მოტივირებული წინადადების საფუძველზე პარლამენტმა შეიძლება დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება მესამე მოსმენიდან კანონპროექტის მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის ან მეორე მოსმენიდან პირველი მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის დაბრუნების შესახებ. მოქმედი რეგლამენტით აღნიშნული შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ მესამე მოსმენიდან მეორე მოსმენაზე დაბრუნების მიზნით. ეს კი ხშირად აიძულებს პარლამენტის წევრებს, მეორე მოსმენის დროს შეცვალონ კანონპროექტის პრინციპებთან დაკავშირებული საკითხები, რაც რეგლამენტის დარღვევაა.

რეგლამენტის პროექტით დადგენილია საკანონმდებლო წინადადებების პარლამენტისთვის როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა. ამომრჩეველთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შემთხვევაში გათვალისწინებულია ხელმოწერების ელექტრონულად შეგროვების წესიც.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, კანონპროექტის განმარტებით ბარათთან დაკავშირებულ საკითხებს აღარ ეხება რეგლამენტი და მოცემული ნორმები ასახულია მხოლოდ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში.

თავი XI. პარლამენტის დადგენილება

მოცემული თავით რეგულირდება პარლამენტის დადგენილების განხილვისა და მიღების წესები. აღნიშნული თავის ცალკე გამოყოფა, ახალი რეგლამენტის ერთ-ერთი სიახლეა.

ახალი რეგლამენტით პარლამენტის ყველა გადაწყვეტილების აქტს - პარლამენტის დადგენილებას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. დღეს მოქმედ რეგლამენტში ფაქტობრივად ჩაკარგულია მისი გამოყენების არეალი და დანიშნულება.

მკაფიოდ მიეთითება, რომ პარლამენტის ყველა გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილებით. ასევე, პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რომლებიც მოწესრიგებული არ არის რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტით, პარლამენტი წყვეტს დადგენილებით. დადგენილება შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ნორმატიული ხასიათის.

პარლამენტის დადგენილების პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება ერთი მოსმენით, კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით. პარლამენტის ნორმატიული ხასიათის დადგენილების პროექტი, პარლამენტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

ამავე თავით არის რეგულირებული კონცეფციის მიღება. კონცეფცია არის პარლამენტის მიერ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის შესახებ ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს პარლამენტი.

თავი XII. პარლამენტის მონაწილეობა სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში

აღნიშნული თავით რეგულირდება სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისა და მასში ცვლილების შეტანის საკითხები.

ახალი რეგლამენტის ერთ-ერთი სიახლე და პარლამენტის გაძლიერების ერთ-ერთი მექანიზმია, ის, რომ პარლამენტის კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცესს ხელმძღვანელობს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, რომლის როლი და დანიშნულება წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიხედვით გაზრდილია. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებს, წინადადებებსა და მოსაზრებებს განიხილავს, აფასებს და შეიმუშავებს ერთიან საბოლოო დასკვნას.

ხარისხიანი საბიუჯეტო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, გაზრდილია სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვის საპარლამენტო ვადები.

აღნიშნული საკითხის შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაცია მოცემულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებით ბარათში.

თავი XIII. პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობები. საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, დენონსირება, გაუქმება

მოცემული თავი არეგულირებს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობებიდან გამომდინარე საკითხებს, როგორცაა პარლამენტის წარმომადგენლობა სხვადასხვა სამსახურებრივ ვიზიტებსა და დელეგაციებში, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების რეგულაციებს.

რეგლამენტის პროექტი ადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილე პარლამენტის წევრების ანგარიშვალდებულების საკითხს. საქართველოს პარლამენტის წევრები სხვა სახელმწიფოში სამსახურებრივი ვიზიტის შესახებ, ხოლო ოფიციალური საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი საპარლამენტო დელეგაციის სხვა სახელმწიფოში ვიზიტისა და იქ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ანგარიშს, ვიზიტის დამთავრებიდან არაუგვიანეს 14 დღისა წარუდგენენ პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის წევრთა შვიდკაციანი ჯგუფის, კომიტეტის, ფრაქციის მოთხოვნით, ეს ანგარიში შეიძლება პარლამენტის პლენარული სხდომის განხილვის საგანი გახდეს.

მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობა განისაზღვრება პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით, რომელსაც ადგენს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.

მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის საქმიანობას წარმართავს დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელიც ყოველი წლის საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 14 დღისა პარლამენტის ბიუროს წარუდგენს გაწეული საქმიანობის ანგარიშს. ბიუროს გადაწყვეტილებით, ეს ანგარიში შეიძლება პარლამენტის პლენარული სხდომის განხილვის საგანი გახდეს.

სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებთან რეგულარული ურთიერთობის დასამყარებლად პარლამენტში დადგენილებით იქმნება მეგობრობის ჯგუფები. მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი მეგობრობის ჯგუფის სხვა სახელმწიფოში ვიზიტისა და იქ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციას, ანგარიშს და ვიზიტის თაობაზე მოსაზრებებს ვიზიტის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 დღისა წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის წევრთა შვიდკაციანი ჯგუფის, კომიტეტის, ფრაქციის მოთხოვნით, ეს ანგარიში შეიძლება პარლამენტის პლენარული სხდომის განხილვის საგანი გახდეს.

ცალკე მუხლადაა გამოყოფილი საპარლამენტაშორისო ასამბლეის რეკომენდაციების განხილვის ვალდებულება. პარლამენტი განიხილავს აღნიშნულ რეკომენდაციებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი შესრულების შესახებ. ამ რეკომენდაციებს წინასწარ განიხილავს შესაბამისი კომიტეტი და სათანადო დასკვნებს რეკომენდაციებთან ერთად განსახილველად წარუდგენს პარლამენტს.

თავი XIV. საპარლამენტო ზედამხედველობა, კონტროლი და ანგარიშვალდებულება

საპარლამენტო ზედამხედველობის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების კომპონენტის გაძლიერება წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის ძირეულ მიზანს და გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული თავი მოიცავს არსებულ, მაგრამ დახვეწილ და ასევე, ნოვაციურ ზედამხედველობის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს.

საპარლამენტო ზედამხედველობის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების საკითხები არ შემოიფარგლება მხოლოდ მოცემული თავით. ამ მიზანს ემსახურება ასევე რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული სხვა რეგულაციებიც, მაგალითად, მინისტრის საათი, მთავრობის წევრის და სხვა თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე მოსმენის წესი, კომიტეტის სხდომაზე შესაბამისი თანამდებობის პირის სავალდებულოდ დასწრების წესი, პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულებასა და კანონქვემდებარე საქმიანობაზე კონტროლი, აგრეთვე, თემატური მომხსენებლის ინსტიტუტი, რომელიც წინასწარ შერჩეულ სფეროში მუდმივად ახორციელებს საკითხების შესწავლას.

პარლამენტის წევრისთვის საზედამხედველო ფუნქციის გამოყენების ინდივიდუალურ მექანიზმს წარმოადგენს პარლამენტის წევრის კითხვა. ის უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. კითხვა უნდა იყოს წერილობითი. კითხვის შინაარსი ჩამოყალიბებული უნდა იქნეს მაქსიმალურად კონკრეტულად და მკაფიოდ და შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს. კითხვაზე პასუხი პარლამენტის აპარატის მიერ გადაეცემა კითხვის ავტორს და აგრეთვე ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე, პასუხისთვის დადგენილი ვადის გადაცილების აღნიშვნით (ასეთი გადაცილების შემთხვევაში).

საგანგებო აღნიშვნას საჭიროებს ინტერპელაციის წესი, რომელიც კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ შემოიღო, ხოლო ახალი რეგლამენტის დანიშნულებაა ამ წესის სწორი იმპლემენტაცია, იმისათვის რომ ხარისხიან და ეფექტიან საზედამხედველო ინსტრუმენტად ჩამოყალიბდეს. ინტერპელაციის დროს პარლამენტის წევრთა შვიდკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს. შეკითხვა უნდა იყოს წერილობითი, მისი შინაარსი უნდა იყოს კონკრეტული და შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს. შეკითხვას შეიძლება ერთვოდეს განმარტებითი ფურცელი. შეკითხვის ადრესატები ვალდებულნი არიან შეკითხვას პირადად უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარუდგინონ პლენარულ სხდომას. რეგლამენტის ახალი ჩანაწერის მიხედვით ინტერპელაციის წესით შეკითხვის ადრესატი პარლამენტში წარსდგება როგორც წესი ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში ორჯერ, კერძოდ, მარტის, მაისის, სექტემბრის და ნოემბრის თვეში, თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს და უპასუხებს იმ შეკითხვებს, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა. მნიშვნელოვანია რეგლამენტის ჩანაწერის მზადყოფნა იმისათვის, რომ ინტერპელაციის წესით დასმული არცერთი შეკითხვა არ დარჩეს პლენარულ სხდომაზე უპასუხოდ. ამავდროულად გასათვალისწინებელია თავად ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება, რომლის

მიხედვითაც, როგორც წესი, მისი გამოყენება საპარლამენტო ქვეყნებში არ ხდება რუტინულად. მას ძირითადად იყენებენ ადრესატის მიმართ კრიტიკულად მნიშვნელოვანი პრობლემების არსებობის დროს.

რეგლამენტის ახალი რედაქციით დადგენილია, რომ პლენარულ სხდომაზე შეკითხვის ადრესატის მიერ სიტყვით გამოსვლის შემდეგ იმართება დამაზუსტებელი კითხვა-პასუხი შეკითხვის ავტორსა და ადრესატს შორის, რასაც ავტომატურად თან მოსდევს დებატები, შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული წესით. დებატებისა და ადრესატის დასკვნითი გამოსვლის დასრულების შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს რეზოლუცია, რეკომენდაცია ან სხვა დადგენილება.

ახალი რეგამენტის მიხედვით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ, ივნისის თვეში პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ და შესაბამისი წერილობითი ანგარიში. ასევე, პარლამენტს უფლება აქვს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს მოსთხოვოს სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა. ამ ანგარიშის წარდგენის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. პრემიერ-მინისტრის მიერ პლენარულ სხდომაზე როგორც მოხსენების, ისე ანგარიშის წარმოდგენისას იმართება მათი განხილვა კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის პროცედურის შესაბამისად, რაც პოლიტიკურ დებატებსაც გულისხმობს. განხილვის შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს რეზოლუცია, რეკომენდაცია ან სხვა დადგენილება.

პარლამენტი, კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის გადაწყვეტილებით სავალდებულო წესით პლენარულ სხდომაზე იწვევს მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს. შესაბამისი თანამდებობის პირი ვალდებულია პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. აღნიშნული პირი პარლამენტის წინაშე წარსდგება როგორც წესი ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს და ისაუბრებს იმ საკითხზე, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა. თანამდებობის პირის მოხსენების დასრულების შემდეგ 30 წუთის განმავლობაში პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ, მოხსენების თაობაზე შეკითხვებით მიმართონ მას და მოისმინონ პასუხები, რის შემდეგაც იმართება პოლიტიკური დებატები. თანამდებობის პირის მოსმენის შემდეგ პარლამენტმა შეიძლება მიიღოს რეზოლუცია, რეკომენდაცია ან სხვა დადგენილება.

აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, პარლამენტის წევრთაგან კომიტეტის ან პარლამენტის

მუდმივმოქმედი საბჭოების გადაწყვეტილებით შეიძლება დაინიშნოს მომხსენებელი (თემატური მოკვლევის მომხსენებელი) ან მომხსენებელთა ჯგუფი (თემატური მოკვლევის ჯგუფი). აღნიშნული ტიპის საზედამხედველო ფორმატის შესახებ ჩანაწერი მოქმედ რეგლამენტში იყო, თუმცა ახალი რეგლამენტით ეს შესაძლებლობა გაცილებით უფრო დახვეწილია, ამასთან, ამ შესაძლებლობით აღჭურვილია პარლამენტის მუდმივმოქმედი საბჭოებიც. ამ მიზნით, კომიტეტის წევრი უფლებამოსილია კომიტეტს წარუდგინოს შემოსული განცხადებების ანალიზის, მიმდინარე მოვლენების, საჯარო ინტერესისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით მომზადებული თემატური მოკვლევის საკითხების ნუსხა. კომიტეტის წევრები საკითხთა ნუსხიდან ირჩევენ მოსაკვლევ საკითხებს. აღნიშნულ საკითხებზე მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. იგივე წესი გამოიყენება მუდმივმოქმედი საბჭოს შემთხვევაშიც. საკითხის მოკვლევის ფარგლებში სავალდებულოა ჩატარდეს საკითხზე მოსმენა, სადაც მოწვეული იქნებიან დაინტერესებული პირები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ საკითხი, აგრეთვე მოკვლევის ფარგლებში ხდება სხვადასხვა დოკუმენტაციის თუ ინფორმაციის შესწავლა. მოკვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე შესაბამისი კომიტეტი ან პარლამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან ახორციელებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. მოკვლევის პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალედ და დადგენილია სხვადასხვა ტიპის ინფორმაციების პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება.

პარლამენტის საზედამხედველო როლის გაძლიერების კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია პარლამენტის გაძლიერება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე ზედამხედველობის მხრივაც. დგინდება, რომ მითითებულ სექტორში შემავალი უწყებების საქმიანობას პარლამენტი აკონტროლებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფის და დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების მეშვეობით. უქმდება „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონი და იქ არსებული რეგულაციები, შესაბამისი ცვლილებებით ასახულია რეგლამენტის პროექტში. წარმოდგენილი პროექტით ნდობის ჯგუფის მანდატი გაზრდილია და ის, რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია გამოძიებასთან და სისხლისსამართლებრივ დევნასთან და მინიჭებული აქვს საიდუმლოობის გრიფი (გარდა ფარული საგამომიებო მოქმედებებისა), აგრეთვე ახორციელებს სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო კონტროლს.

მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტდება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებების ჩამონათვალი და მთელი რიგი ვალდებულებები დგინდება არა მხოლოდ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, არამედ სექტორის ყველა უწყების მიმართ. სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, ნდობის ჯგუფის წევრები უფლებამოსილი იქნებიან წინასწარი ინფორმირებით განახორციელონ

ვიზიტები საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში, გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსი. ასევე, დგინდება საიდუმლო ნორმატიული აქტების ნდობის ჯგუფისთვის და საინფორმაციო, ანალიტიკური და სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტების პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისთვის მიწოდების ვალდებულება. სექტორში შემავალი უწყებები საიდუმლო ანგარიშებს ნდობის ჯგუფს წარუდგენენ, ხოლო სუს-ი საჯარო ანგარიშს - პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს წარუდგენს, რომელიც საბოლოო ჯამში ზედამხედველობას გაუწევს იმ დადგენილების შესრულებას, რომელსაც პარლამენტი სუს-ის საჯარო ანგარიშზე მიიღებს.

აღნიშნულ თავშია მოცემული საქართველოს მთავრობისთვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების რეგულაციები, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან, ასევე, მინიმუმამდე შემცირებული ერთ დღეს კომიტეტების და ფრაქციების ყველა მოსმენის ჩატარების შესაძლებლობა, რა მიზნითაც დადგენილია, რომ ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ორი მოსმენა.

იმისთვის, რომ ანგარიშვალდებულმა ორგანოებმა და პირებმა ჯეროვნად შეასრულონ ანგარიშგება და პარლამენტს წარუდგინონ არა მათთვის მნიშვნელოვანი, არამედ პარლამენტისთვის ღირებული ინფორმაცია, სიახლეა ისიც, რომ პარლამენტი დადგენილებით ამტკიცებს პარლამენტის წინაშე წარსადგენი ანგარიშების ფორმებს.

აღნიშნული თავი, ასევე, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის წესებს.

ამავე თავშია მოცემული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების და მოხსენებების, აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიშების განხილვის პროცედურები, საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ზედამხედველობის საკითხები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, იურიდიული დახმარების სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის საჯარო ანგარიშის პარლამენტში წარდგენის საკითხები.

რეგლამენტის პროექტში დამოუკიდებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვის ერთგვაროვანი წესია განსაზღვრული. ამ წესის თანახმად, ბიურო ასახელებს წამყავნ კომიტეტს, რომელიც ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადაში იწვევს კომიტეტის სხდომას და ანგარიშთან ერთად განიხილავს კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის შენიშვნებს, ამზადებს დასკვნას და განსახილველად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა სავალდებულოა, თუ შესაბამისი კანონით გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ორგანოს დაკომპლექტებაში პარლამენტის მონაწილეობა. ანგარიშის განხილვის დასრულების შემდეგ პარლამენტი ცნობად იღებს წარმოდგენილ ანგარიშს ან უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება.

მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვის მიზნით, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი თავის წევრებისგან ქმნის კომიტეტთან არსებულ აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველ მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. აღნიშნული ჯგუფი ანგარიშვალდებულია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წინაშე. სამუშაო ჯგუფის სხდომები არის საჯარო, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მოიწვიოს თვეში ერთი სხდომა მაინც. სწორედ ეს სამუშაო ჯგუფია პასუხისმგებელი იმაზე, რომ შეისწავლოს აუდიტის სამსახურის ანგარიშები და კომიტეტთან ერთად თვალი მიადევნოს ამ ანგარიშების შესაბამისად პარლამენტის მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ ახალი რეგლამენტით დგინდება საჯარო ინფორმაციის შესახებ საჯარო დაწესებულებების ანგარიშების განხილვის წესი. აღნიშნული წესის მიხედვით განსაკუთრებული როლი ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს ეკისრება.

ამ თავით რეგულირდება იმპიჩმენტისა და სხვადასხვა თანამდებობის პირების გადაყენების/უნდობლობის გამოცხადების საკითხები, როგორც კონტროლისა და ზედამხედველობის ერთ-ერთი მექანიზმი. უქმდება „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი და იქ არსებული რეგულაციები ასახულია წარმოდგენილ პროექტში.

ამავე თავშია საქართველოს მთავრობისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან სხვადასხვა ტიპის ურთიერთობებიდან გამომდინარე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხები.

თავი XV. განსაკუთრებული პროცედურები

მოცემული თავი არეგულირებს პარლამენტისთვის მიკუთვნებულ განსაკუთრებულ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცედურებს, მათ შორის, კონსტიტუციიდან გამომდინარე საკითხებს (საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება, ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერებაზე ან დათხოვნაზე თანხმობის მიცემის პროცედურა, პარლამენტის ურთიერთობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებთან, პარლამენტის ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რეფერენდუმის საკითხის დასმა), რომლებიც მოყვანილია შესაბამისობაში კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან.

ამავე თავით რეგულირდება პარლამენტის, პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, პარლამენტთან არსებული კვლევითი ცენტრის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტების ფორმირების საკითხები.

აღნიშნული თავი განსაზღვრავს მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხებსაც. პარლამენტის წევრი ამომრჩეველებთან შეხვედრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას აწვდის შესაბამის კომიტეტს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას 3 თვეში ერთხელ ანაალიზებს და რეაგირების შედეგებს აცნობებს პარლამენტის თავმჯდომარეს. ეს ინფორმაცია ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე. პარლამენტის წევრები, კომიტეტი, პარლამენტის სხვა სუბიექტები ვალდებული არიან განიხილონ დაინტერესებული პირების წერილები და განცხადებები და პასუხი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აცნობონ ავტორს 1 თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ამომრჩეველთა პარლამენტთან ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს პეტიცია. პეტიცია არის არანაკლებ 300 პირის მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი პრობლემიდან გამომდინარე საკითხს. პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება ხორციელდება ელექტრონულად. პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი ან დროებითი კომისია ვალდებულია განიხილოს პეტიცია. პეტიცია შეიძლება გაეგზავნოს შესაბამის სამინისტროს ან სხვა უწყებას. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის დასკვნის საფუძველზე პარლამენტის ბიუროს პეტიციიდან გამომდინარე შესაბამისი საკითხი განსახილველად შეაქვს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში. პლენარულ სხდომაზე პეტიციის განხილვის შემდეგ პარლამენტი იღებს რეზოლუციას ან სხვა დადგენილებას.

თავი XVI. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თანამდებობის პირების არჩევა (დანიშვნაზე თანხმობის მიცემა)

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული თანამდებობის პირის გამწესებას გარკვეული თავისებურებები გააჩნია, მოცემული თავი შეძლებისდაგვარად აჯგუფებს პარლამენტის მიერ თანამდებობაზე გასამწესებელ პირთა არჩევის მსგავს წესებს. რეგლამენტი გამოყოფს იმ პირების არჩევის წესს, რომელთა კანდიდატურებსაც სპეციალური სუბიექტები წარადგენენ (მაგ: პრეზიდენტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სხვა), იმ პირების არჩევის წესს, რომლებზეც საპარლამენტო კონკურსი ცხადდება და კომიტეტების მიერ ასარჩევი პირების არჩევის წესს.

თანამდებობის პირთა არჩევისას მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს ბიუროს მიერ განსაზღვრული წამყვანი კომიტეტი, რომელიც ადგენს წარმოდგენილი კანდიდატების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან. ამ მიზნით, კომიტეტი მოიძიებს/გადაამოწმებს კანდიდატებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, მათ ბიოგრაფიულ ცნობებს, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ ინფორმაციას. თავის მხრივ, თავად კანდიდატები ან მათ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან კომიტეტს მიაწოდონ მათ შესახებ არსებული ინფორმაცია, სრულყოფილად. საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი სხდომაზე უსმენს თითოეულ კანდიდატს, რის შემდეგაც შეიმუშავებს დასკვნას. დასკვნის შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პირი პარლამენტის მიერ აირჩევა ფარული კენჭისყრით, კომიტეტი დასკვნას იღებს ასევე

ფარული კენჭისყრით. კომიტეტის დასკვნა უნდა შეიცავდეს კომიტეტის რეკომენდაციას რეგლამენტის თანამდებობის პირ(ებ)ის კანდიდატურის მიმართ. პლენარულ სხდომაზე პარლამენტი კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის წესის შესაბამისად იხილავს და უსმენს კანდიდატებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის ასარჩევი პირების მიმართ ცალსახად დგინდება როგორც კომიტეტზე, ასევე, პლენარულ სხდომაზე ყველა კანონმდებლობასთან ფორმალურად შესაბამისი კანდიდატის მოსმენის ვალდებულება.

თავი XVII. პარლამენტის აპარატი და დაცვა

საკანონმდებლო ტექნიკის გათვალისწინებით, მოცემულ თავში თავმოყრილია პარლამენტის აპარატთან და ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

პარლამენტის აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულების სახით შედიან დეპარტამენტები, მანდატურის სამსახური, პარლამენტის კომიტეტების აპარატები, პარლამენტის საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების აპარატები, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის აპარატები, საპარლამენტო ფრაქციების აპარატები, ნდობის ჯგუფის აპარატი, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების სამდივნოები, პარლამენტის აპარატის უფროსის სამდივნო, საბჭოებისა და სახელმწიფო კომისიების სამდივნოები, საბიუჯეტო ოფისი.

რეგლამენტი თავისუფლდება პარლამენტის აპარატთან დაკავშირებული ზედმეტი დებულებებისგან - აღნიშნული საკითხების რეგულირება მოხდება პარლამენტის აპარატის დებულებებით.

თავი XVIII. პარლამენტთან არსებული დაწესებულებები

მოცემული თავით რეგულირდება პარლამენტთან არსებული დაწესებულებების - საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის ძირეული საკითხები.

ნოვაციას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის შექმნა, რაც გულისხმობს კვლევითი საქმიანობის რეფორმირებას სამართლებრივი პროცესის მხარდაჭერის, პარლამენტის საერთო კვლევითი და ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერების და პარლამენტის მიერ მისი საკანონმდებლო და ზედამხედველობის ფუნქციების შესრულების პოტენციალის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების მიზნით. კვლევითი ცენტრი იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, პარლამენტის სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. ცენტრი მხარდაჭერას აღმოუჩენს როგორც კომიტეტებს, ისე ცალკეულ პარლამენტის წევრებს ობიექტური, სამეცნიერო-კვლევითი, სტატისტიკური, კანონმდებლობის ხარჯებისა და გავლენის ანალიზისა თუ სხვა კრიტიკული მოსაზრებებისა და ინფორმაციების მიწოდების გზით. ამასთან, მისი ინფორმაცია იქნება ობიექტური და სანდო.

თავი XIX. პასუხისმგებლობა რეგლამენტის დარღვევისთვის. საპარლამენტო ეთიკა

რეგლამენტის დარღვევისათვის პარლამენტის წევრის მიმართ დაწესებულია ზემოქმედების შემდეგი ფორმები: ა) სხდომაზე სიტყვის ჩამორთმევა; ბ) გაფრთხილება; გ) სხდომათა დარბაზის დატოვებინება; დ) ხელფასის დაკავება. აქედან, ხელფასის დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს, ხოლო სხვა დანარჩენზე პლენარული თუ კომიტეტის სხდომის თავმჯდომარეს. პარლამენტის წევრს, რომლის მიმართაც გამოიყენეს ხელფასის დაკავების ზომა, უფლება აქვს, წერილობით შეიტანოს დასაბუთებული პროტესტი, რომელზე გადაწყვეტილებასაც იღებს პარლამენტის თავმჯდომარე.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ადგენს კომიტეტის სხდომების გამცდენ პარლამენტის წევრთა სიას, თითოეული მათგანის მიერ გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და გაცდენის თარიღების მითითებით და როგორც ყოველთვიურად, ისე სესიის ბოლოს უზრუნველყოფს მის გამოქვეყნებას პარლამენტის ვებგვერდზე.

მოცემული თავი განსაზღვრავს პასუხისმგებლობის საკითხებს იმ თანამდებობის პირებისთვის, რომლებსაც ევალებათ პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობა. ამ მიზნით, პარლამენტი იღებს დადგენილებას ან რეზოლუციას დარღვევის გამო კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული რეაგირების ზომების მისაღებად ან სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს მიმართავს რეკომენდაციით მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ.

პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების შესწავლისა და მონიტორინგის მიზნით, პარლამენტი, თავისი უფლებამოსილების ვადით, ქმნის ეთიკის საბჭოს. დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს ეთიკის საბჭოს წევრთა რაოდენობა. ეთიკის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში. ამასთანავე, საბჭოში ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები. ეთიკის საბჭოს ჰყავს ორი თანათავმჯდომარე (ერთი უმრავლესობიდან და ერთი უმცირესობიდან ან სხვა ოპოზიციური ფრაქციიდან).

პარლამენტში დაუშვებელია შეურაცხმყოფელი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოქმედებანი და უხამსი გამოსვლები. პარლამენტში ქცევისა და ეთიკის საკითხები განისაზღვრება პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსით, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს დადგენილებით.

თავი XX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

კონსტიტუციის ახალი რედაქცია და პარლამენტთან მიმართებით მასში არსებული რეგულაციების სხვადასხვა დროს ამოქმედების დათქმები, საჭიროს ხდის რეგლამენტის გარდამავალ დებულებებში გარკვეული დროებითი რეგულაციების დადგენას.

გარდამავალი რეგულაციები დადგენილია როგორც მოქმედი, ისე მომდევნო მოწვევის პარლამენტისთვისაც. გარდამავალი დებულებების არსებობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია ფრაქციების განუსაზღვრელი ოდენობით შექმნის შესაძლებლობის შეზღუდვა, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება, პარლამენტის წევრთა ექვსკაციანი ჯგუფის შვიდკაციანი ჯგუფით ჩანაცვლება და სხვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

აუცილებელ ხარჯებს წარმოშობს სსიპ-საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის დაფუძნება. კვლევითი ცენტრის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პარლამენტისთვის გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, შემოწირულობები, გრანტები, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან რეგლამენტით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები დაფარული იქნება პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

რაც შეეხება პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის სსიპ - საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრად გარდაქმნის საკითხს, სსიპ-ისთვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსი პარლამენტის ბიუჯეტის ფარგლებიდან იქნება გამოყოფილი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს რაიმე ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი რაიმე დადგენილ გადასახადს, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელს არ ითვალისწინებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი უზრუნველყოფს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან მე-16 მიზნის მიღწევას - მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

16.6 და 16.7 ქვემიზნები:

16.6 ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე;

16.7 ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველო მიერთებულია ღია მმართველობის პარტნიორობას 2011 წლიდან. „ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP) არის საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც დაიწყო 2011 წელს საერთაშორისო პლატფორმის უზრუნველყოფის მიზნით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას ხელისუფლება გახადონ უფრო ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული. 2017 წლის ოქტომბრიდან საქართველო არის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თავმჯდომარე ქვეყანა. 2015 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეადგინა და მიიღო ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა და ასევე ხელი მოაწერა დეკლარაციას ღია პარლამენტის შესახებ. წარმოდგენილი რეგლამენტი პარლამენტს აყალიბებს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ ინციტიტუციად, რაც პირდაპირ შეესაბამება ღია მმართველობის მიზნებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებათა პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პარლამენტის რეგლამენტის რეფორმაზე მუშაობის პროცესში, ცვლილებების ყველა ძირითადი მიმართულების განხილვა ხდებოდა პარლამენტის რამდენიმე წევრის, მთავრობის საპარლამენტო მდივნის, პარლამენტის აპარატის შესაბამისი თანამდებობის პირების ჯგუფთან. ასევე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, რეფორმის პროცესში აქტიურად იყო ჩართული ინსტიტუციონალური გამლიერებისა და საპარლამენტო პროცედურების საკითხებში საერთაშორისო ექსპერტი - სერ ევან პოლ სილქი და ადგილობრივი ექსპერტი - კახაბერ ურიადმყოფელი. სერ ევან პოლ სილქი საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა და ის, ადგილობრივ ექსპერტ - კახაბერ ურიადმყოფელთან ერთად შეხვდა პარლამენტის კომიტეტების, უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენლებს, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სფეროს შესაბამის სპეციალისტებს. მათ მიეცათ ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ მოესმინათ და გაეანალიზებინათ სხვადასხვა პოლიტიკური ძალების და დარგობრივი სპეციალიზაციის სხვადასხვა ექსპერტების, სპეციალისტების თუ პარლამენტის სტრუქტურული ერთეულების მოსაზრებები და რეკომენდაციები. რომლის შედეგადაც, ექსპერტებმა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მოამზადეს. სერ ევან პოლ სილქი ახალი რეგლამენტის პროექტზე ამზადებს საბოლოო ანგარიშს, რომელიც რეგლამენტის საპარლამენტო განხილვების დროისთვის იქნება წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, ასევე, რეგლამენტის რეფორმის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით კიდევ ორი ექსპერტის მხრიდან მიღებული წინადადებები. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი რეკომენდაციები იქნა წარმოდგენილი დებრა ანგუსის (ადვოკატი და

საერთაშორისო კონსულტანტი, ახალი ზელანდია) და ირაკლი ჩიქოვანის (კონსულტანტი, საქართველო) მიერ.

რეფორმაზე მუშაობის პროცესში ეტაპობრივად ხდებოდა ინფორმაციის გაზიარება ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სფეროს ექსპერტებთან:

-)] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)
-)] საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო (TI)
-)] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
-)] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
-)] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
-)] გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP)
-)] ნატოს სამოკავშირეო ოფისი
-)] ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
-)] ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
-)] საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი (GCSD)
-)] ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
-)] დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI)
-)] აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLOG) ფარგლებში
-)] ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)
-)] გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
-)] ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი (WFD)
-)] სფეროს ექსპერტი - ვახუშტი მენაბდე

მათგან ხდებოდა მოქმედი რეგლამენტის ხარვეზების და გამოსწორების გზების შესახებ წინადადებების მიღება, ასევე პარლამენტის გაძლიერების მიზნით კონკრეტული რეკომენდაციების მოსმენა-გაანალიზება და რეგლამენტის ახალ პროექტში ასახვა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი, ამ ეტაპზე არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია: პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე - თამარ ჩუგოშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, ირინე ფრუიძე, გიორგი კახიანი, ანრი ოხანაშვილი, ეკა ბესელია, მამუკა მდინარაძე, არჩილ თალაკვაძე, ირაკლი სესიაშვილი, ირაკლი ბერაია, გურამ მაჭარაშვილი.